ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

27 მარტი - 2 აპრილი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ანკარაში

ანკარას პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებულია დაეშთან დაკავშირებული უცხო ქვეყნის 19 და თურქეთის 5 მოქალაქე. თურქეთის სადაზვერვო სამსახურის განმარტებით, უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქე გადაყვანილია რეგიონულ საიმიგრაციო სამსახურში და უახლოეს დღეებში იგეგმება მათი ექსტრადიცია.

28.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ბაღდადსა და სალაჰ ალ-დინში

ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას ბაღდადსა და სალაჰ ალ-დინში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში დაეშთან დაკავშირებული 5 ტერორისტის დაკავების შესახებ. სადაზვერვო-საგამოძიებო ფედერალური სააგენტოს განცხადებით, დაკავების ადგილიდან ამოღებულია რამდენიმე ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა.

30.03.2023

წერტილოვანი საჰაერო დარტყმები დამასკთან ახლოს

სირიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელმწიფო სააგენტო ინფორმაციას ავრცელებს ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ დამასკთან ახლოს წერტილოვანი საჰაერო დარტყმების განხორციელების შესახებ. ადამიანის უფლებათა სირიის ობსერვატორიის განცხადებით, დარტყმების სამიზნე დამასკიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამხედრო ობიექტები იყო.

30.03.2023

ანტიტერორისტული რეიდი ჯერიხოში

ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ დასავლეთ სანაპიროზე, ჯერიხოსთან ახლოს, ჯაბარის ლტოლვილთა ბანაკთან განხორციელებული ანტიტერორისტული რეიდის დროს დაკავებულია მარტოხელა პალესტინელი ტერორისტი. ისრაელის თავდაცვის ძალების განმარტებით, დაკავებული პირი, ელან განელესის მკვლელობაში მონაწილეობდა.

27.03.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ალმოგთან

ისრაელის თავდაცვის ძალებისა და შინ ბეთის მიერ დასავლეთ სანაპიროზე, ალმოგთან განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ ორი მებრძოლის მამა - 50 წლის ვაალ ა-ჰაფეზ ავიდატი.

28.03.2023

ოპერაცია „ჰადინ კაი“ ბორნოს შტატში

ნიგერიის სამხედრო ძალების 222-ე ქვეითმა ბატალიონმა ოპერაცია ჰადინ კაის (ქართ. „კონსპირაცია. თანამშრომლობა“) ფარგლებში ბორნოს შტატში არსებულ კონდუგას თემში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს წარმატებით გაანეიტრალა ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო ჰარამის 12 მებრძოლი გაანეიტრალა.

25.03.2023

აბუ ზაჰრას ლიკვიდაცია

„ჰადინ კაის“ ფარგლებში განხორციელებული ზემოთ ხსენებული სამხედრო რეიდიდან 24 საათის შემდეგ, დიკუას სამმართველოში განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ბოკო-ჰარამის საველე მეთაური, აბუ ზაჰრა და 41 სხვა მებრძოლი.

26.03.2023

აფეთქება სამბისას ტყეში

ნიგერიის ეროვნული სადაზვერვო სამსახური ავრცელებს ინფორმაციას სამბისას ტყეში, ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო ჰარამის სამხედრო ინჟინრის და ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირის, ავანა გაიდამის, დაღუპვის შესახებ. საგამოძიებო სამსახურების განმარტებით, გაიდამი ბომბის დამზადების დროს აფეთქდა.

29.03.2023

სეკა უანკაბას ლიკვიდაცია მუალიკას ხეობაში

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სპიკერის, დეო აკიიკის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამხედრო ძალების მიერ კივუს

პროვინციაში, მუალიკას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ტერორისტული ორგანიზაცია "გაერთიანებული დემოკრატიული ძალების" უფროსი საველე მეთაური, სეკა უანკაბა.

30.03.2023

ტერორისტული თავდასხმა ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროზე

დაეშის ხორასანის პროვინციამ პასუხისმგებლობა აიღო 27 მარტს ქაბულში ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს, მალიკ ასღარის მოედანზე განხორციელებულ სუიციდურ თავდასხმაზე, რომლის დროსაც დაიღუპა 6 ადამიანი და დაშავდა 12.

28.03.2023